

საქართველოს კანონი

„ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში (გამოქვეყნებულია საქართველოს პარლამენტის უწყებანი 1997 წელი - №33) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-8 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სადაზღვევო ტარიფის სტრუქტურას ადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის საქვეუწყებო დაწესებულება – ფინანსური მონიტორინგის სამსახური.“.

2. 22-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის ნაწილში ბიუროს მიმართ ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის საქვეუწყებო დაწესებულების – ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დაწესებული სადაზღვევო რეზერვებისა და ფონდების განთავსების და ინვესტირების წესი.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიისა და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასრულების შემდეგ.